**ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“**

# პ რ ე ს რ ე ლ ი ზ ი

4 ნოემბერს, 12:00 საათზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის ხალას თემში არსებული საინიციატივო ჯგუფი ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ მხარდაჭერით დასახლების საერთო კრებას ჩაატარებს.

კრებაზე ადგილობრივ მოსახლეობას საშუალება ექნება თემის პრობლემებზე ისაუბროს და ხმათა უმრავლესობით გამოკვეთოს პრიორიტეტული საკითხები, რომელსაც საინიციატივო ჯგუფი ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საბიუჯეტო პროგრამების სახით განსახილველად წარუდგენს.

აღნიშნული საინიციატივო ჯგუფი ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირმა „ინტელექტმა“ ჩამოაყალიბა პროექტის „თემები დემოკრატიული ცვლილებებისათვის“ ფარგლებში. პროექტის მიზანია აჭარის რეგიონის ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტების თემების მოსახლეობის ჩართულობის დონის ამაღლება თვითმმართველობის პროცესებში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და თემების მოსახლეობას შორის თანამშრომლობის ფორმების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, მუნიციპალური ბიუჯეტების თემების მოსახლეობის რეალურ მოთხოვნებსა და საჭიროებებზე ორიენტაციის ხარისხის ამაღლება.

**მისამართი: ქობულეთი, ხალას ადმინისტრაციული ერთეული**

(გორგაძეების საჯარო სკოლა)


<u>დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით:</u>

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“
ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქ. # 13
ტელ.: 241640; 241650; 599 18 50 98
ელ. ფოსტა: teona@intellect.org.ge
საკონტაქტო პირი: **თეონა კაკაციძე**



SWEDEN

პროექტი ხორციელდება შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida) და ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) ფინანსური მხარდაჭერით.

NDI NATIONAL DEMOCRATIC INSTITUTE